

უდემამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი „იანანა“



უდემამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდი „იანანა“ წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ფონდის საქმიანობა წესდებით ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების გამთლიანებას, მზრუნველობამოკლებული და ობოლი ბავშვებისთვის და მათი ოჯახებისთვის დახმარების გაწევას და მათ მომავალზე ზრუნვას, სოციალურად დაუცველი ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას და იმ ნიჭიერი სტუდენტებისა და მოსწავლეების მხარდაჭერას, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და განსაკუთრებული მიღწევები. ფონდი თავისი მიზნების განსახორციელებლად ღებულობს შესაწირს მისი საქმიანობით დაინტერესებული, საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, რომლებსაც სურვილი აქვთ თავიანთი წვლილი შეიტანონ ფონდის მიერ დასახული მიზნების განხორციელებაში.

შემოსულობები და ხარჯები _2016		
ანბარიში	დასახელება	თანხა
	შემოსულობები	1,079,585
6190 1	შემოწირულობები	582,954
6190 2	საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები	180,160
6130-6135-6140	იჯარით გაცემული ფართიდან შემოსავლები და სსპა	231,761
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	15,191
8180	დადებითი საკურსო სხვაობა	5,960
8110	საპროცენტო შემოსავალი	63,385
8190-6199	სხვა შემოსავალი	175.0
	ხარჯები	1,066,783
7110-7190	საქველმოქმედოდ განაწილებული ხარჯები ფულადი და ნატურალური ფორმით	375,907
7110-7190	ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯი	104,450
7210-7290	სასაქონლო მატერიალური მარაგი და კორექტირება	32,379

7310	რეკლამა და გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-
7410	შრომის ანაზღაურება	374,154
7430	კომუნიკაციის ხარჯები	24,324
7445	კომპიუტერის ხარჯები	1,629
7455	ცვითა და ამორტიზაცია	23,232
7465	ქონების გადასახადი	11,643
7490+7444+7450+7451	სხვადასხვა ხარჯი (მივლინების,საკანცელარიო,საკონსულტაციო)	44,886
7446	საწვავის ხარჯი	15,960
7440+7447	რემონტის ხარჯი	12,075
7435,7499	სხვადასხვა ხარჯები(დაზღვევა,საგადასახადო მიზნით გამოქვითული ხარჯები)	43,540
8290	ბანკის მომსახურების ხარჯი	1,374
8210	საპროცენტო ხარჯი	
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობა	1,231
იავნანას სამეგობროების მიერ გაწეული ქველმოქმედება "		45000

2016 წლის შედეგების მიხედვით ფონდის ფინანსური ანგარიშის მოკლე მიმოხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს. შემოწირულობებიდან და საქველმოქმედო ღონისძიებებიდან მიღებულმა შემოსავლებმა სულ 763114 ლარი შეადგინა. ქველმოქმედებაზე და საქველმოქმედო ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯებმა 480357 ლარი, რაც საქველმოქმედო შემოსავლებთან მიმართებაში 62.95 პროცენტს შეადგენს.

უშუალოდ ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები წლის განმავლობაში ფულადი და ნატურალური ფორმით 375905 ლარს შეადგენს. მ.შ. მრავალშვილიან ოჯახებზე გაცემული ბინების ღირებულება შეადგენს 113583 ლარს, სტიპენდიებისა და სწავლის გადასახადის სახით გაცემულია 86941 ლარი, სხვადასხვა დახმარება ფულადი და ნატურალური ფორმით გაწეულია 175382 ლარის ოდენობით.

ფონდის შემოსავლებმა ეკონომიკური საქმიანობიდან 252911 ლარი შეადგინა. რაც ძირითადად მიმართულია ფონდის საერთო ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად.

მთელ ქართულ საზოგადოებასთან, საქართველოს მთავრობასთან, საქრთაშორისო ორგანიზაციებთან ქართველ და უცხოელ აღიარებულ არტისტებთან –მსოფლიო ღონის ვარსკვლავებთან ერთად, ფონდმა 13 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველი 114 ოჯახი დააბინავა, 875 სტუდენტს ნაწილობრივ დაუფინანსა სწავლის საფასური. 2008 წლის 25 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრამდე, ყოველთვიურ დახმარებას ურიცხავდა აგვისტოს ომის დროს დაობლებულ 133 ბავშვს. 7 წლის დიგო რაზმაძე, რომელსაც გორის დაბომბვის დროს დაეღუპა მშობლები, დღემდე "იავნანას" მზრუნველობის ქვეშ იმყოფება. თავისი არსებობის 13 წლის მანძილზე "იავნანამ" ცხრაასზე მეტი ბავშვი გადაარჩინა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მოხვედრას. გაწეულია უამრავი ერთჯერადი დახმარება მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, სადაც დაწვრილებით არის განხილული ბოლო სამი წლის ანგარიშები, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.